

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება:

ეპიდემიის დაავადებულ პირთა  
სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.  
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 01 01

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

66267 (სამოცდაექსიათასორასსამოცდაშვიდი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 66267ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

**7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:**

ქრონიკული დაავადების მქონე პირები საჭიროებენ მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს გართულებები, ან შეიძლება დამთავრდეს ფატალური შედეგით. ეპილევსიით დაავადებული ადამიანების უმეტესი ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებია. მათი მნიშვნელოვანი ნაწილისათვის უწყვეტი მკურნალობა ოჯახის მცირე შემოსავლების გამო ხშირად ხელმიუწვდომელია, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

გამგეობა ახორციელებს ეპილევსიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამას ასაკისა და სოციალური სტატუსის შეუზღუდავად.

**8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილევსიით დაავადებული პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.	მოსარგებლე პირთა რაოდენობა
2	ეპილევსიით დაავადებულთა გართულებების თავიდან აცილება.	ეპილევსიით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი.
3	დროებითი და მყარი შრომის უუნარობის შემცირება.	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

**9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

2017წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	შემოსული განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	მედიკამენტებით უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

**10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:**

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში, ან/და პაციენტები, რომლებიც მოგვმართავენ 2017 წელს.

**11. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:**

პროგრამაში ჩართვა და მედიკამენტების რაოდენობების განსაზღვრა მოხდება სამედიცინო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ფორმა №100-ის საფუძველზე.

## 12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის გასაწევი ხარჯები

№	პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების დასახელება	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი (ლარი)	მედიკამენტების რაოდენობა დღეში	მედიკამენტების რაოდენობა წელიწადში	ღირებულება წელიწადში (365დღე)
1	ვალპროატის მუავა 500მგ	აბი	0,35	48	17520	<b>6132</b>
2	ვალპროატის მუავა 300მგ	აბი	0.23	12	4380	<b>1007.4</b>
3	ვალპროატის მუავა (სიროფი) 150მლ	ფლაკონი	14.5		171	<b>2479.5</b>
4	ლევეტირაცეტამი 500მგ	აბი	1.20	81	29565	<b>35478</b>
5	კარბამაზეპინი 200მგ,	აბი	0,1	270	98550	<b>9855</b>
6	ლამოტრიჯინი 50მგ	აბი	0,62	42	15330	<b>9504.6</b>
7	ტოპირამატი 100მგ	აბი	2.48	2	730	<b>1810.4</b>
<b>სულ თანხა:</b>						<b>66266.9</b>

ბ) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2017წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	<b>66267</b>			<b>66267</b>
	დამატებითი					

13. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ეპილეფსიის სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვა	2016წდეკემბერი-2017წლის იანვარი.	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	<b>66267</b>	

## დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

წლის განმავლობაში ბენეფიციართა ჩართვა პროგრამაში განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

1. განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად; (18 წლამდე)
4. პაციენტის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად; (18 წლამდე)
5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა № IV-100/ა.

ბენეფიციარის მიერ მედიკამენტების შესყიდვის მოცულობა ყველა შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურად, სამედიცინო დოკუმენტში მითითებული მედიკამენტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დანიშნულების შეცვლა.

შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დაფინანსება განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

პროგრამის “მიმწოდებლის“ დაფინანსება განხორციელდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობით, მაგრამ არა უმეტეს ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფინანსების დამტკიცებული მოცულობისა.